# სახალხო გაზეთი

№ 272 სამშაბათი, 5 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 272

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საშუადღევის 1 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ჯანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"-ს
### ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილისა,

რისაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე სოლომონ დავითის ძე და შვილები: ნინო, მარიამი, დავითი, დიმიტრი სოლომონის ასულნი და ძენი გედევანიშვილები. გამოსვენება დღეს, 5 აპრილს, დილის 9 საათზე ბინიდან, კოჩუბეის ქ., სახ. № 4, კუკიის წმ. ნიკოლოზ. ეკლესიაში. დაკრძალვა მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის გალავანში. (3—1212—3)

ნინო სოლომონის ასული და სამსონ პლატონის ძე დადიანები გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—დედისა და მეორე—სიდედრის, დაუვიწყარის

## ელისაბედ დიმიტრის ასულის გედევანიშვილის

გარდაცვალებას. (3—1212—3)

ცნობილი ძველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

## ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

## ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—23)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერიო კურსები
## გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე სწავლა დაიწყება ამა წლის 18 აპრილიდან და გაგრძელდება ათ თვეს. სავალდებულო საგნებია: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია, სწორი წერა. (ხელის გასწორება).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსის დასრულების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

(10—1215—1) კურსების დირექტორი გ. გიგინეიშვილი.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშანი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოხოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

## წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—435)

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ხელის მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა"-ს („Новая Рѣчь") წიგნის მაღაზიაში, საზაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—7)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „საოჯახური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქო'ა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტი დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 სა: ამდინ. (წ.—1147—18)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის ხატის ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

გადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—5.—75)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—78)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—31)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იშმაილოვისა ქ. N2.

## ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა გასხერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და სამაწვილისა სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე მზანებათ საგანგებო შესაწამლებში სტერილიზაცია გაკეთებული ებრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—38)

## ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკოდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (400—1117—32)

ელექტრონისა და რენტგენის

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—89)

## ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—346

## ექიმი ჟ ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—40

## ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ო)

## შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა
ქ ა რ ხ ნ ი ს ა
ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—10)

ქართული თეატრი

მზადდება წარმოსადგენად ცნობილი პიესა.

## დიდი მოურავიანი

დრამა 5 მოქმ. 17 სურათად.

მონაწილეობს მთელი დასი.


## ტფილისი, 5 აპრილი

**ქალაქის თვით-მმართველობა და სტატისტიკა.** ამ რამდენისამე დღის წინად ადგილობრივმა რუსულ-ქართულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატისტიკური ცნობები ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ბევრის ყურადღება მაშინვე მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სტატისტიკური ცნობები ნამდვილ სურათს არ გვაძლევს. ამ მოკლე ხანში დავბეჭდავთ ცხრილს და მაშინ ჩვენი მკითხველიც დაინახავს, რომ, მართლაც, სტატისტიკური ცნობები შეუსაბამოდაა შედგენილი. შეიძლება დაიბადოს სამართლიანი ეჭვი, რომ სტატისტიკის შემდგენელებს ან არა სცოდნიათ სტატისტიკის შედგენა და ან არ მოუხერხებიათ სწორედ შედგენა. ორივე შემთხვევაში ქალაქის თვით მმართველობის გამგეობაა დამნაშავე.

როგორც ამ სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, ათი წლის განმავლობაში ქალაქი ერთი ორად გაზრდილა. მიუხედავად ამისა ქალაქის გამგეობას ერთხელაც არ უზრუნვია, ერთხელაც არ მოუფიქრნია ქალაქის მცხოვრებთა აღწერა. ქალაქის გამგეობა კმაყოფილდება იმ სტატისტიკურ ცნობებით, რომლებსაც პოლიცია აძლევს. ასეთის ცნობებით კი, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ სტატისტიკის შედგენა.

ამ ცნობებს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგად შემუშავებული სტატისტიკა ნათელს სურათს მოქვცემდა ეროვნებათა ურთიერთობისას, დაგვანახვებდა, როგორ იზრდება თვითეული ეროვნება ქალაქში, მოქვცემდა საზოგადო სურათს ქალაქის ზრდისას. დღეს ყველა ამას მოკლებული ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქის გამგეობამ თავის დროზე არ იზრუნა მცხოვრებთა აღწერის მოსახდენად.

ჩვენ კი ეს აღწერა ძალიან საჭიროდ მიგვაჩნია და ამიტომ არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი სურვილი, რომ ახლო მომავალში აუცილებლად მოხდეს ასეთი აღწერა. ტფილისი ცენტრია მთელი კავკასიისა და სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია, რომ მისი სტატისტიკური სურათი არ არსებობდეს...

## სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ტაგანცევი შეკითხვის იურიდიულ მხარეს შეეხო—მე-87 მუხლის ძალით დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემომღებ კანონ-პროექტის გაყვანა შეეფერება თუ არა ძირითად კანონებს. ორატორი მოუწოდებს ყველას იმ მწვერვალიდან, რომელზედაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აიყვანა, ძირს ინებონ ჩამოშვება და გადასწყვიტონ საკითხი, როგორც ამას ძლევა-მოსილი კანონი გვიბრძანებს, რომელშიაც ჩართულია უმაღლესი აზრი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისა. კანონი ერთად-ერთი საძირკველთა, რომელზედაც ეყრდნობა სამეფო ტახტი. მის ზედთან განუშორებლად გადაბმულია რუსეთის ხალხის სვე-ბედიც. კანონის აზრის მიხედვით, მთავრობის დღევანდელი მოქმედება ძირითად კანონების დარღვევაა. მართალია, ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი გარემოებანი, როდესაც იძულებული ვართ განსაკუთრებულ, თითქმის საგმირო ზომასაც მივმართოთ, როგორც მაგალითად მე-87 მუხლია, მაგრამ განსაკუთრებული კანონიც გაფართოვების განმარტებას ვერ ეთვისება. მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მას მხოლოდ სათათბიროს მეცადინეობის შეწყვეტის დროს უნდა მიჰმართონ ხოლმე; მეცადინეობა კი არ იყო შეწყვეტილი, მხოლოდ დროებით შეაჩერეს საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობა-გაჩაღებულ საქმიანობის დროს. სესსია კი არ დასრულდა, არამედ შესწყდა, რათა მესამე დღეს განახლებულიყო. არავითარი საგანგებო ამბავი იმპერიისა და დასავლეთ მხარის ცხოვრებაში არ მომხდარა, რომლის აწონ-დაწონვაც მართლაც მთავრობას ეკუთვნის. ახალი საკანონ-მდებლო მოღვაწეობის პრაქტიკიდან პრეცედენტებზე მითითება სწორე არ არის, რადგანაც მე-87 მუხლის ძალით გამოცემული კანონები სათათბიროთა დათხოვნის შემდეგ გაიყვანეს და არა პალატათა მუშაობის დროს.

**იუსტიციის მინისტრი** აღნიშნავს, რომ ტაგანცევის მოსაზრებანი მე-87 მუხლის გამოყენების თაობაზე ჩვენს ძირითად კანონებს არ შეეფერება. საგანგებო ზომათა მიღება შეიძლება იმისდა-მიუხედავად პალატანი დათხოვნილია თუ არა. თვითონ მე-87 მუხლი თხოულობს, რომ მისის ძალით გამოცემული კანონით ორის თვის განმავლობაში სათათბიროს მუშაობის განახლების დროს წარადგინონ განსახილველად და არა ახალ სესიის განახლების შემდეგ. ამასთანავე დროებითი შეწყვეტა, ფაქტიურად მუშაობის შეჩერებას იწვევს. საგანგებო გარემოებათა თაობაზე დაუსრულებელი კამათი შეიძლება.

ეჭვს გარეშეა მხოლოდ ერთი რამ: საგანგებო მდგომარეობათა დაფასება მინისტრთა საბჭოს აწევს კისრად. მხოლოდ მთავრობის სუბიექტურ შეფასებას შეუძლიან განმარტოს, დადგა თუ არა ეს საგანგებო მდგომარეობა. ლოღიკურად რომ ვიმსჯელოთ, უნდა ვაღვიაროთ, რომ პალატას უფლება ჰქონდა შეკითხვა შეეტანა იმის შესახებ, რომ პალატათა მოქმედების შეწყვეტის ხანაში საგანგებო მდგომარეობა ჩამოვარდა და მე-87 მუხლით მთავრობამ ვერ ისარგებლა,

**ბარონ ნოლდემ**, რომელიც კოვალევსკის სიტყვებს ემყარებოდა, პირდაპირა სთქვა, რომ მე-87-ე მუხლის ძალით უფლების განხორციელება და ამის მიზეზები არავითარ კანტროლს არ ექვემდებარება. ჩვენ კანონმდებლობას დასავლეთ ევროპის კანონმდებლობაზე უფრო მეტი გარანტია აქვს, კანონმდებლობის განსაკუთრებულ უფლებათა საგანგებო შემთხვევებში დასაცავად. ჩვენ სენატი გვაქვს და მხოლოდ მას შეუძლიან აღნიშნოს კანონიერად გამოცემულია კანონი თუ არა. ერობათა შესახებ კანონი სენატმა გამოაქვეყნა, მაშასადამე, შეკითხვა მთავრობას, შეკითხვაა სენატის მიმართ.

**ნარიშკინი** მთავრობის განმარტებას დამაკმაყოფილებლად არა სთვლის; გვირგვინის წმინდა უფლებათა დაცვა მარტო მთავრობას კი არა, ყოველ

მოქალაქეს აწევს ვალად. არავითარი საჭიროება არ იყო, რომ მთავრობას კანონიერების განსაკუთრებულ წესისათვის მიემართა, მით უმეტეს, რომ გამოცემული კანონი უმაღლესად დამტკიცებულად კი არა, მთავრობის მიერ დროებით შემოღებულად ითვლება და იგი საკონონმდებლო დაწესებულებებს ხელ-ახლად უნდა წარედგინოს. ამბობენ, რომ პროექტის უარყოფით ეროვნული ინტერესები შეილახაო. ვინ იცის, ასეა თუ არა. იმიტომ, რომ ეს კანონ-პროექტი რუსეთის სხვა და სხვა ერთა შეერთებისათვის კი არა, მათ განცალკევებისათვისაა შექმნილი. ორატორი ერობათა დაწესებულებების ბევრ ნაკლულოვანებაზე შეჩერდა და ამბობს, რომ უფრო საჭირო იყო ერობათა აუცილებელი გასწორება. თვით მთავრობამ იგრძნო, რომ ჩვენი ერობა სრული არ არის და მის შესასწორებლად შეიტანა კანონ-პროექტები, რომლის ძალითაც საერობო წვრილი ერთეულები არსდებოდა. მაშ რა საჭიროა, არა სრულ დაწესებულებათა გავრცელება?

სხდომა შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ ილაპარაკა **გრიმმა**, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოს ყველა წევრს მეფის პრეროგატივების დაცვაში ერთ-სულოვნება ეტყობათო. რაიცა შეეხება საკითხის იურიდიულ მხარეს, გრიმი აღნიშნავს, რომ სენატი მხოლოდ იმას განმარტავს, თუ ახალი კანონი რამდენად შეეფერება თავის გარეგნულის თვისებებით, ძირითად კანონებს. შეკითხვის უფლება კანონით განსაზღვრული არ არის, ამასთანავე საკითხში აღნიშნულია, რის შესახებ მიაჩნია შესაძლებლად საბჭოს შეკითხვის შეტანა და რის შესახებ—არა. შეკითხვა მიმართულია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, და არა თვით საბჭოსადმი, ამიტომ ის გარემოება, რომ საბჭო სენატს არ ექვემდებარება, ორატორს გასამართლებელ საბუთად არ მიაჩნია; მთავრობის მოქმედება არღვევს იმ ძირითად საფუძველს, რომელზედაც განახლებული წეს-წყობილება ემყარება; ბიუროკრატიული წეს-წყობილება იმით განსხვავდება ეხლანდელისაგან, რომ აღმასრულებელი ძალა ყოველთვის სჭარბობდა სახელმწიფო ცხოვრების სხვა ფაქტორებს; აქედან წარმოსდგება სათანადო ფსიხოლოგია. დღეს საჭირო ხდება ბრძოლა. ძალიან დიდი განსხვავებაა იმ მინისტრის შორის, რომელიც მხოლოდ მეფის წინაშეა პასუხის-მგებელი, მაგრამ ამასთანავე მუხლს იდრეკს კანონის წინაშე, და იმ მინისტრისა, რომელსაც ამოძრავებს არა კანონიერება, არამედ საკუთარი ნების-ყოფა.

**მაქსიმ კოვალევსკიმ** სთქვა: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იმაში გაამტყუნა საბჭო, რაშიაც მას არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის. საბჭოს არც ერთს წევრს არ უთქვამს, ვითომც საბჭოს და სათათბიროს დათხოვნა მეფის უფლებებს არ შეადგენდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, საბჭოს წევრები მხოლოდ იმას დაამტკიცებდნენ, რომ მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სახელმწიფო უფლებაზე. ევროპაში ყველგან მიღებულია ის პრინციპი, რომ მეფე თავია, დასაწყისი და დასასრული პარლამენტისა. ორატორმა დაწვრილებით განიხილა თეორია და ისტორია ამ უფლებისა და აღნიშნა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ადარებს ერთმანეთს ორს ისეთს რაბეს, რაც არსებითად შეუდარებელიაო. უცილობელია რომ საგანგებო გარემოების შეფასება მინისტრთა საბჭოს საქმეა: მხოლოდ მთავრობის სუბიექტიური შეფასება გადასწყვეტს გარემოება საგანგებოა თუ არა. ამას რომ ლოღიკურად გავყვეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პალატებს მთავრობისთვის შეკითხვა უნდა წარედგინათ: პალატათა მუშაობის შეჩერების დროს, რატომ არ ისარგებლა მე-87 მუხლით, როდესაც საგანგებო გარემოებანი უკვე არსებობდა.

**სტახოვიჩი**. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ არც ერთი დამამშვიდებელი სიტყვა არ დასძრა მაშინ, როდესაც სწორედ კრიზისის მთელი სიმწვავე ამ ფარგალში დატრიალდა. ორატორი, მთავრობისა და ზედა პალატის შუა მომხდარ განხეთქილებას ვიზორგის მოწოდებასთან ადარებს: როგორც იმ მოწოდებაში, მთავრობის დამარცხების სურვილით გაელენთილი, გამწარებული ხალხი სახელმწიფოს ურტყავდა, ისე ეხლაც, რეაქციისაგან ახალ სახელმწიფოებრივი წყობილების დასაცავად, თვითონ ამ წყობილებას ურტყავენ და ჯერ გაუმაგრებელ, მაგრამ ყველასთვის ძვირფასი, საძირკველს ანგრევენ. ეხლა ერთადერთ სახსნელ იარაღს მიმართავს—უფლებრივ წყობილების აღდგენის იმედს, რომლის დროსაც კანონი როგორც ქვეშევრდომისათვის, ისე მის გამომყენებლისათვის სავალდებულოა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როდესაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავის დეკლარაციაში გადაჭრით განაცხადა: მონარქის ნებით განახლებული სამშობლო უფლებრივ სახელმწიფოდ უნდა გარდაიქმნეს, უფლებრივი ნორმები კი ნათლად გამოთქმულ კანონებზე უნდა დაემყაროს, თორემ ცხოვრება ძირითად კანონებსა და ძველ კანონებს შორის მუდამ შეხლა-შეჯახებას გამოიწვევს. ეხლა დაარღვიეს ის, რისთვისაც სამსახურს აპირებდნენ.

**დმიტრიუკოვის** აზრით ამ შემთხვევაში კანონ-შეწონილობაზე სალაპარაკო საბუთიც არ არსებობს. აღმასრულებელმა ძალა-უფლებამ, მე-87 მუხლით მინიჭებული საკანონმდებლო უფლება გამოიყენა, იგი სრულიად დამოუკიდებლადაც უნდა იქცეოდეს. საკანონმდებლო დაწესებულებათ განსაკუთრებულის წესით გამოცემულ კანონს, ამავ კანონის უარყოფით უნდა გაუწიონ ანგარიში, თუ კი მის დასადასტურებლად საკმაო საფუძველს ვერა ჰპოვებენ. თუ პალატებს უფლება ექნებათ განმარტება მოითხოვონ, კანონის გამოსაცემად, თუ რომელმა საგანგებო პირობებმა აიძულა აღმასრულებელი ძალა, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ აღმასრულებელი ძალა საკანონმდებლო ძალას დაექვემდებაროს, და აღმასრულებელ ძალის საქმეში ჩარევას მოასწავებს. მით უმეტეს არ შეიძლება სახელმწიფო საბჭო პასუხისმგებელი გავხადოთ,—უმაღლეს მთავრობას აქტები რად წარუდგინეს, რადგანაც მაშინ პალატათა წინაშე სამინისტრო პასუხის-მგებელი გამოდის. კანონის ძალით მინისტრთა საბჭოსადმი შეკითხვის წარდგენა შეიძლება, ხოლო არა ყოველთვის. მაგალითად, მინისტრთა საბჭოს დებულების მეხუთე მუხლში ნათქვამია: როდესაც მინისტრთა საბჭოში მეფე კეთილ ინებებს თავმჯდომარეობას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იქ უბრალო წევრად რჩება.

**სტიშინსკი**. მემარჯვენეთა შორის ისეთი ერთსულოვნება არ არის, როგორც სტახოვიჩმა განაცხადა. უმრავლესობა მინისტრის აზრს იზიარებს.

**გრაფი ოლსუფიევი** მთავრობის უკანასკნელ დღეთა მოქმედებას მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ ქექა-ქუხილს ადარებს. ასეთის მოქმედებით აღშფოთებულ ხალხის მდგომარეობას ახასიათებს და აცხადებს: შეკითხვის ავტორებს მთავრობის განმარტება ვერ აკმაყოფილებსო.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

შემთანხმებელ კომისიის სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვას ღებულობენ. ნავარაუდევ მორიგი ხარჯებისათვის **2,520,272,220** მანეთი საერთო შემოსავალი — **2,720,108,837** მანეთი. 45,295,838 მ., რომელიც ხარჯებს მორჩება ვოსკოვიორსლავის გზისა ხუთპროცენტიან ობლიგაციებსა და სხვა სესხის განაღდებაზე წავა.

თავმჯდომარის ადგილს **გოლუბევი** იჭერს.

მიწად-მომწყობ საკითხის კანონ-პროექტის განხილვა გრძელდება.

მე-98 მუხლი სამაზრო და საგუბერნიო კომისიებს აღვიარებს, როგორც ორს პირველ ინსტანციას და სენატს—როგორც განსაჩივრების ინსტანციას.

მე-98-123 მუხლებს უმრავლესობის რედაქციით ღებულობენ. დანარჩენ მუხლებს უკამათოდ ღებულობენ განსაკუთრებულ კომისიის რედაქციით. შემდეგ კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადასცეს და ამ კომისიაში ექვსი წევრი მაშინვე აირჩიეს.

შემდეგი სხდომა 5 აპრილს მოხდება.

# ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **ჩამოხრჩობა**. 4 აპრილს, გაუენებისას, ტფილისში ჩამოახრჩეს სტეფანე მიკირტიჩის ძე ნაგაპეტოვი, რომელსაც ამას წინად კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მას ახალქალაქის „ლესნიჩი“-ს ტეშუკის მოკვლა ბრალდებოდა.

✦ 2 აპრილს საარტისტო საზოგადოების თეატრში **გაასამართლეს არციბაშევის გმირები**. სასამართლოს თავჯდომარეობდა გ. ბ. გვაზავა. ბრალმდებლად იყო ბ-ნი მალხაზოვი. კამათის შემდეგ დაისვა კითხვა: ისეთი ტიპები, როგორნიც სანინი და მიხაილოვია, სასურველნი არიან თუ არა. ნაფიცმა მსაჯულებმა მცირე ხნის თათბირის შემდეგ დაადგინეს: არ არიან სასურველნიო.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, **სენატორმა რეინკემ შარშან რევიზია გაუკეთა კავკასიის სასამართლო დაწესებულებებს**. ამ რევიზიას შედეგად ჯერ-ჯერობით ის მოჰყვა, რომ იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რათა წარუდგინონ მას სია კავკასიის ენების მცოდნე მოხელეებისა, რომელნიც სასამართლო დაწესებულებებში იქმნებიან დანიშნულნი.

✦ **ჟანდარმთა როტმისტრი პ. ა. ლომიაშვილი ტფილისიდან პეტერბურგში გადაჰყავთ**.

✦ **სახალხო თეატრი სოფლად**. როგორც გვწერენ, სოფელ ბოდბისხევში (სიღნაღის მაზრა) უკვე შესდგომიან სახალხო თეატრის შენობის აგებას.

✦ **ტფილისში ნავთის ფასს დაუკლეს**. წინად გირვანქას 4 კაპ. ჰყიდდნენ, ახლა კი ორი გირვანქა 7 კაპ. გახადეს.

✦ 2 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, მთაწმინდის ქუჩაზე მცხოვრებმა ქვრივმა ნინო მიხეილის ასულმა ნათიშვილმა, 66 წლ. გამოწერილ წამლის მაგივრად შეცდომით **ძმრის ესენცია დალია**, რის გამოც რამდენისამე ხნის შემდეგ თავისავე ბინაზე გარდაიცვალა.

✦ **ტფ. ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს კრებამ დაადგინა** სიმწიფის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე წელს 36 მოწაფე დაუშვას.

✦ როგორც გადმოგვცეს, ქართ. **გიმ. საპედაგოგიო საბჭომ მიიღო რუდოლფის განკარგულება**, რომლითაც წელს მე-VI კლასის მოწაფეთ გამოსაცდელი ეგზამენები ექნებათ ოლქიდან გამოგზავნილ კომისიის თანადასწრებით.

✦ შარშან საბალოსნო სკოლაში 25 საჟენ მიწაზე დათესილი იყო პური დემჩინსკის სისტემის მიხედვით. წელსაც განაგრძნობენ ამ ცდას, რადგანაც შარშან კარგი შედეგი მოიტანა. თითო ორმოზე 30—40 ღერო ამოვიდა და თითო თავთავში 25—30 მსხვილი მარცვალი იყო. კართოფილმა კი ვერ იხეირა.

✦ როგორც გავიგეთ, ჩვენი მგოსანი ქალი **განდეგილი მძიმე ავად გამხდარა**.

✦ 3 აპრილს ვერის სასაფლაოზე **მიწას მიაბარეს** გვამი მომრიგებელ მოსამართლის [illegible]ხოვისა, რომელიც რამდენსამე დღის წინად უცებ გარდაიცვალა.

✦ 3 აპრილს, დილის 10 ნახევ[არ] საათზე, კიროჩნი ქუჩაზე შეიპყრე[ს] მარიამ ვიკენტის ასული ივანოვი[ს]სა, რომელსაც **რევოლვერი აღ[მო]მოაჩნდა**. რევოლვერის ნებართვ[ა] ივანოვისას არა ჰქონია, ამიტომ [სა]სამართალში აძლევენ.

✦ 1 აპრილს მადაკანთა ქუჩაზ[ე] შეიპყრეს ვლ. მიხ, რაევი, რომელი[ც] პოლიციის ზედამხედველობის ქვე[შ] იყო გაგზავნილი ტფ. მაზრის დაბ[ა] მიხაილოვში.

✦ 2 აპრილს ქვაშვეთის წმ. გი[ორგის] ეკლესიის დეკანოზმა კალისტ[ე]რატე ცინცაძემ პოლიციას გახუცხადა: დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე გ[ა]დატეხეს შესანახი გასაღებით კადო ჩემის სახლის კარი და 10[0] მან. დირებული პალტო და 10 მან[.] ღირებული ვერცხლის ჯვარი წაიღეო.

✦ 2 აპრილს ტფილისში შეიპყრე[ს] 56 უპასპორტო.

—

**შეცდომების გასწორება**. მესამ[ე] სვეტზე სწერია: (ეროვნ. საკ. გარშემო) ეროვნულ ინტერესების დამცველი, უნდა იყოს: **დამცველთა**... მეოთხე სვეტზე სწერია: რადგან ჩვენი ერის ორგანიზმის ყოველი ნაწილი ღრმად დაავადმყოფების მწარე სიპტომებს იძლევიან, მაგრამ ძნელი ადამიანის პსიხიკის, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში ფანატიზმამდის მისულა... უნდა იყოს: რადგან ჩვენი ერის ორგანიზმის ყოველი ნაწილი ღრმად დაავადმყოფების მწარე სიპტომებს იძლევა, მაგრამ ძნელია ადამიანის პსიხიკის, რომელიც რამოდენიმე ხნის განმავლობაში ფანატიზმამდის მისულა. სწერია: გალეგეი, უნდა იყოს გალილეი! სწერია; მოქმედებს; უნდა იყოს, მოქმედებს. იაკ. გოგებაშვილის წერილიდან მოყვანილ სიტყვებში სწერია: ქართველებს, უნდა იყოს ქართველობას.

### ქუთაისი

✦ 13 მაისს ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე ყვირილის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის ბ-ნი გუნცაძისა და ამავე სა[...]

# გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობა

(მოკლე მიმოხილვა).

1897—1910 წ.

1.

1897 წ. 12 იანვარს ქ. გორში თ.-აზნაურთა კრება ჰქონდათ, რომ სამეურნეო ამხანაგობა დაეარსებინათ, თანახმად იმ წესდებისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან 1896 წ. 17 სექტემბერს.

ამავე წელს 12 ოქტომბერს გაიხსნა პირველი კრება სამეურნეო ამხანაგობისა და გამგე-დირექტორად არჩეულ იქმნა თ-დი ივანე გიორგის ძე მაჩაბელი.

მისი პროგრამა იყო, მეურნეთა ცხოვრებაში შეეტანა ცვლილება და განვითარება, რომ სამეურნეო მრეწველობა აღორძინებინა, მეურნეობის ნაწარმოებს შესაფერი ბაზარი მოეპოვებინა, მემამულეთა უმრავი ქონება ამხანაგობას დაექვემდებარებინა და მრავალი სხვა ამისთანა აზრები უნდა გაეტარებინა ცხოვრებაში, რომ დასცლოდა და ასე ტრაგიკულად და საიდუმლოდ არ დაკარგულიყო; დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს მისი ესე მოულოდნელი დაკარგვა ამ ახალ დაწესებულებისთვის მით უფრო, რომ მან თავის გამგეობის დროს დაგვანახვა, რა დიდი მომავალი მოელოდა ამ ნორჩ ამხანაგობას, რომელიც დღეს დაღუპვის გზაზე სდგას.

2.

თ-დ ივანე გიორგის ძე მაჩაბლის მაგიერ 11 ოქტომბერს 1908 წ. გამგე-დირექტორად არჩეულ იქმნა თ-დ ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

როგორცა სჩანს გამგეობის მოხსენებიდან, რომელიც წარდგენილ იქმნა საზოგადო კრებაზე 1898 წელს, ამხანაგობას ჰქონია წმინდა მოგება 2969 მ. 15 კ., როდესაც მას სავაჭრო თანხად მხოლოდ 12,315 მან. ჰქონდა.

რასაკვირველია, უპირატესობა ეძლევა ამ მოგებაში თ-დ ივანე გიორგის ძე მაჩაბელს, რადგან ამხანაგობის წარმოების პირველმა დრომ მის ხელში გაიარა.

მოგება წევრთა ამხანაგობისა და მწარმოებელთა შორის 1899 წ. მაისში გაანაწილეს. უმნიშვნელოდ მოიხმარეს ეს მოგება, მით რომ თითქმის ყველა წევრი ამხანაგობისა შეძლებისა და გვარად კარგად იყვნენ და ეს ნაწილი მოგებისა მათთვის არას შეადგენდა; რომ ეს ფული სრულიად ჩაერიცხათ სათადარიგო თანხაში, ან სხვა რაიმე საამხანაგო საქმეზე მოეხმარებინათ, კიდევ რამეს ეგვანებოდა.

3

სამეურნეო ამხანაგობის ზედამხედავი კომიტეტის ოქმებს რომ კითხულობთ, განცვიფრებაში მოდიხართ. ყოველი ოქმი 1898—1900 წ.წ. ერთი და იგივეა, მათში ამოიკითხავთ მხოლოდ: „მოვისმინეთ რა თხოვნა ამა და ამისა წევრის ჩარიცხვაზედ,—დავადგინეთ, მიღებულიქმნას წევრად, ფული წარმოადგინა ამდენი“. სხვა მნიშვნელოვანს ვერას წააწყდებით, გარდა ერთისა—ზედამხედავ კომიტეტის თავმჯდომარის თ-დ კ. მ. ამირეჯიბის 15 ნ. 1900 წ. ოქმისა, რომელიც შეეხება თ-დ გიორგი ვახტანგის ძე მაჩაბლის გამგეობას; ამ ოქმს საქმიანობა ეტყობა.

სამეურნეო ამხანაგობის წესდებაში სწერია: § 42 ზედამხედავი კომიტეტის უფლებაა: იზრუნოს ამხანაგობის სარგებლობისათვის და ყური უგდოს, რომ ჯეროვანად სრულდებოდეს წესდება, ინსტრუქციები და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი.—მოახდინოს უეცარი და ყოველ-წლიური რევიზია კასისა, საწყობებისა, ამხანაგობის ქონებისა და საზოგადოდ მთელის საქმისა და ანგარიშის წარმოებისა გამგეობისა და სააგენტოებისა.—გასინჯოს წინადადება გამგეობისა დამდეგ წელიწადში მოქმედების შესახებ და თავისი აზრი დაადგინოს და სხვაო.

ამ ზემოხსენებულ პარაგრაფიდან სჩანს რაც უფლება ჰქონია ზედამხედავ კომიტეტს და არც ერთი ამ პარაგრაფის აზრი არ არის გატარებული მათ ოქმებში.

კრებები ზედამხედავი კომიტეტისა და გამგეობისა, როგორც ეტყობა, გასართობად ინიშნებოდა; შუადღის მატარებლით ტფილისიდან, გორიდან შეიყრებოდნენ სად. გომში, საწყობს ზერელედ შეათვალიერებდნენ, ერთმანეთს ახალ ამბებს გაუზიარებდნენ და შემდეგ საღამოს მატარებლით ისევ წავიდ-წამოვიდოდნენ.

ასე, ამ გვარად მიაჩანჩალებდნენ სამეურნეო ამხანაგობას.

4.

საზოგადოდ ჩვენში ძნელად ხეირობს ამისთანა დაწესებულებანი; თავი და თავი ამის მიზეზია ჩვენში ქიშპობა და ინტრიგანობა ერთმანეთისადმი.

და ეს ნორჩი სამეურნეო ამხანაგობაც არ ასცდა ჩვენს შუღლსა და ქიშპობას. 1899 წლის ბოლოში ინტრიგანობამ იჩინა სამეურნეო ამხანაგობის ზოგიერთა წევრთა შორის. ეს ინტრიგანობა იყო მიმართული თ-დ ვასილ გიორგის ძე მაჩაბლის წინააღმდეგ, იგი უნდა გადაეყენებინათ.

დაამავა რამე? ამხანაგობა აზარალა? არც ერთი და არც მეორე,—მით უფრო ამხანაგობას, რაც თითონ აწარმოებდა, მოგება აჩვენა.

მაშ რად აუტყდნენ? ერთ ჯგუფს უნდოდა სხვა პირის ჩაყენება გამგე-დირექტორად, მეორე ჯგუფი კი წვრილმანი ანგარიშების გულისათვის ცდილობდა გადაეყენებინა და, ვინც იქნებოდა, იმას ჩააყენებდა. სულ ათი წევრის საქმე კი იყო.

გარდა ამისა წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ დიდი ფული დატრიალდებოდა სამეურნეო ამხანაგობაში და ცდილობდნენ, თავიანთი მახლობელნიც ჩაეყენებინათ, თითონაც გარიყულნი არ დარჩენილიყვნენ.

მათ მხოლოდ ანგარება ალაპარაკებდა, ამხანაგობის მომავალზე არას ზრუნავდნენ.

1900 წ. 30 მაისს საერთო კრება იყო სამეურნეო ამხანაგობისა. ამ კრებაზე თ-დ ვ. გ. მაჩაბელი უნდა გადაეყენებინათ; საქმე ისე იყო დაყენებული, რომ მას ისევ აირჩევდნენ, მაგრამ იმ ერთმა ჯგუფმა პირდაპირ სთხოვა ყუთი არ დაედგა და ძალა-უნებურად თ-დი ვ. გ. მაჩაბელმა მოხსნა თავის კანდიდატობა.

მის მაგიერ აირჩიეს თ-დი გიორგი ვახტანგის ძე მაჩაბელი.

5

იმ მოგებამ, რომელიც ორჯელ გაჰყვეს წევრთა და მწარმოებელთა შორის, ყველას თვალები აუბა; წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ სამეურნეო ამხანაგობაში დიდი ფული ტრიალებდა, ყველა მისკენ მიისწრაფოდა, როგორც ფუტკარი თაფლისკენ.—არც კი ანგარიშობდნენ, რა შეძლება ჰქონდა ამხანაგობას. გამგეობა, ზედამხედავი კომიტეტი, დირექტორი, თანამდებობის პირნი, მოსამსახურენი გაშლილის ხელით ემსახურებოდნენ ამხანაგობას. თ-დ. გიორ. ვახტ. ძე მაჩაბელმაც ხელ-გაშლით დაიწყო გამგეობა სამეურნეო-ამხანაგობისა. თავიდა პირველად გ. სიხარულიძის სადგომში გომის საწყობის გვერდზედ კაბინეტი და კანტორა შეაფერადა, ახალის ავეჯით მორთო. გაიჩინა ცხენები, კაბრიოლეტი, ინგლისური უნაგირები, საწყობის ეზოში ჩააყენა სამი მჭედელი, დაიყენა „კუხარკა“, „ლაქია“, მეჯინიბე და სხვ. გახსნეს კნოლეში და ბრეთში განყოფილებანი. კაბრიოლეტით თ-დი გიორგი ვახტანგის ძე მაჩაბელი ხან კნოლის განყოფილებისკენ აარბენინებდა და ხან ბრეთის განყოფილებაში ჩაარბენინებდა.

ბათომში და ქიათურაში გახსნეს საგენტოები.

ტფილისშიაც 16 ივლის 1900 წ. განყოფილება გახსნეს და დახლიდარს თვეში 75 მ. დაუნიშნეს.

გორში ამავე დროს გახსნეს განყოფილება და გამგეობამ ჩააყენა დ. ი. მაჭავარიანი; თ-დ. გ. ვ. მაჩაბელმა, მოიმარჯვა თუ არა ყველაფერი ხელში, მაჭავარიანის მაგიერ 16 სექტემბერს ამავე წელს ჩააყენა გორის განყოფილებაში თავისი მახლობელი თ-დ. ილ. ესტ. მაჩაბელი, დაუნიშნა მას ჯამაგირი —75 მან.

6

რასაკვირველია, ასე ხელ-გაშლით წარმოება სამეურნეო ამხანაგობას კეთილს არას მოუტანდა. პირველად 1900 წ. 30 სექტემბერს ტფილისის განყოფილება დაიკეტა, რადგან შესაფერი ზედამხედველობა არა ჰქონდა და არც გამგეობისაგან და არც დირექტორისაგან.

ამას მოჰყვა ბათომისა და ქიათურის სააგენტოების დაკეტვა, შემდეგ გორის, ბრეთის და კნოლეს განყოფილებებისა—და ბოლოს 1901 წ. 1 თებერვალს სრული დაღუპვა სამეურნეო ამხანაგობისა. 1900 წ. 15 ნოემბერს თ-დ. კ. მ. ამირეჯიბის რევიზიამ როდესაც აღმოაჩინა ამხანაგობის არა სასურველი მდგომარეობა, ზედამხედავმა კომიტეტმა და გამგეობამ საჭიროდ სცნეს ხარჯების შემცირება, და დირექტორს თ-დ. გ. ვ. მაჩაბელს 17 დეკ. 1900 წ. მისცეს წინადადება, რომ დაეთხოვნა მხოლოდ სამი მჭედელი და „კუხარკა“. დირექტორმა ითხოვა ერთი თვის ვადა, თხოვნაც დაუკმაყოფილეს.

ამხანაგობა იღუპებოდა და მათი ღონისძიება მარტო ამაში გამოიხატა, „კუხარკისა“ და სამი მჭედლის დათხოვნაში. 1901 წ. 1 თებერვალს თ-დ. გიორგი ვახტანგის-ძე მაჩაბელი დირექტორობიდან გადააყენეს, მან არ მოისურვა საამხანაგო ქონების ჩაბარება და, როდესაც შეამოწმეს, აღმოჩნდა დანაკლისი პურისა—789 ფ., სიმინდისა—866 ფ., ლობიოსი—89 ფ., მარილისა—463 ფ. და სხვ.

გამგეობის და ზედამხედავი კომიტეტის რევიზიიდან სჩანს, რომ გომის საწყობმა იზარალა—6682 მ. 54 კ. ბრეთისამ—1075 მ. და კნოლევისამ—111 მ. 1900 წ. ანგარიშიდან კი სჩანს, რომ გომის საწყობს უზარალნია—3,789 მ. 67 კ., განყოფილებებს კი—1018 მ. 57 კ. ეს როგორღაც არ ეთანხმება ერთი მეორეს. ამას გარდა, 1901 წ. ანგარიშიდანაც სჩანს, რომ ამხანაგობას ზარალი მოსვლია—15,886 მ. 70 კ. ზარალის დაფარვას სათადარიგო თანხა და საზოგადო საჭიროების თანხაც არა ჰყოფნიდა, საწევრო ფულით უნდა დაეფარათ. ამ დროს წევრნი ითვლებოდნენ სრული პაის პატრონნი—55 და ამდენივეც—ნახევარ პაის პატრონები.

დანარჩენ პაის პატრონებს მხოლოდ თითო თუმანი დაუბრუნდათ, ვინც ხელმეორედ არ შეავსო პაი-ბი.

ზოგადოების ბუხჰალტრისა ალ. ჩხეიძისა და კასირის ქადაგიძისა.

ხსენებულ პირთ ბრალდებათ, რომ მათის დაუდევრობით დაიკარგა რამდენიმე ათასი მანეთი, გარდა ამისა, ჰბრალდებათ საზოგადოების გახსნის შემდეგ ბოროტ-მოქმედების ჩადენა,—ეს უკანასკნელი ბრალდება ედებათ ბ. ბ. ჩხეიძეს და ქადაგიძეს.

✦ სათავადო მამულთა ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება, რომელიც მოხდება 22 აპრილს, გარდა წლიური ანგარიშისა და მიმდინარე საქმეების განხილვისა, მოსამსახურე პირთ აირჩევს.

წრეულს სამსახურის ვადა გაუთავდებათ გამგეობის ორ წევრს— თ-დ ბ. დ. წერეთელს და ზედამხედველი კომიტეტის ორ წევრს, თ-დს მიქელაძეს და თ. ო. ნიჟარაძეს.

✦ თ-დი სოლომონ მიქელაძე, რომელიც სამი კვირის წინად ეტლის გადაბრუნების დროს დაშავდა, ფეხის მოტეხით, ამ ჟამად კარგად არის და ექიმებს იმედი აქვთ, რომ თ-დი მიქელაძე სრულებით განიკურნება.

✦ ამ დღეებში მოხდება ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა თათბირი. გამგეობა გააცნობს წევრთ საზოგადოების საქმეთა მდგომარეობას, რის შემდეგაც მსჯელობას იქონიებენ, რა გზით დაიფარონ დეფიციტი, რომელიც გამოიწვია წარსულმა ხანგრძლივმა დიდ-თოვლობამ, რის გამო საზოგადოებამ თეატრში სიარული შესწყვიტა.

✦ ქალაქის საავადმყოფო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექიმი გ. ი. ბადრიძე,

✦ ძმ. სიხარულიძეებს თხოვნა მიუციათ ქალაქის გამგეობისათვის შესახებ იმისა, რომ ხანგრძლივ იჯარით მიეცეს მათ სადორიის აგარაკში ქალაქის ადგილი, სადაც მათ სურთ ფერმა გამართონ შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოსაშენებლად. თხოვნასთან ერთად მათ ფერმის პროექტი წარუდგენიათ გამგეობისათვის.

✦ ამ დღეებში გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულო განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია თავ. ნ. უ. თავდგირიძის სოხუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნად არჩევა.

✦ ქალაქის გამგეობამ ქალაქის ბაღის მეთვალყურეობა სამეურნეო სასწავლებლის გამგეს ა. დ. შარაშიძეს მიანდო.

## მომხმარებელ საზოგადოების „მომავალის“ დამფუძნებელთა კრება

სახალხო სახლში, შუა დღის პირველ საათზე, დანიშნული იყო ახლად დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოების „მომავალის“ დამფუძნებელი კრება, რომლის წინ ბ-ნმა კანდელაკმა წაიკითხა ლექცია მომხმარებელ საზოგადოების შესახებ.

მდაბიო და ცოცხალის ქართულით ლექტორი შეეხო, როგორც მომხმარებელ საზოგადოების დანიშნულებას, ისე პრაქტიკულ საშუალებათ ასეთ საზოგადოების კარგს ნიადაგზე დასაყენებლად; ამასთანავე კოოპერაციის, კერძოდ კი მომხ. ამხანაგობათა მოკლე თავ-გადასავალი უამბო დამსწრეთ. მან აღნიშნა, რომ სანამ მომხმარ. საზოგ. დაარსება კერძო ინიციატივით სწარმოებდა, საქმე ვერ ფართოვდებოდა, მაგრამ, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი სარგებლობა შეიგნეს, და საზოგადოებრივმა ჯგუფებმა მოჰკიდეს ხელი, საქმე აღორძინდა, სავაჭრო გაფართოვდა, ფილიალური განყოფილებებიც დაარსა, საკუთარი სკოლები, სამკითხველოები გახსნა და სხვა. ამის მაგალითისთვის ამერიკის ერთ ქალაქის მუშები მოიყვანა, რომელთაც საქმე 8 კაპ. (საწევრო ფულის) დაიწყეს, მომხმარებელი საზოგადოება საპნით და 2 ტომარა ფქვილით დაიწყეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ათას თუმნობის სავაჭრო იყო მათ მომხმ. საზოგ. და წევრად კი 12,000 კაცი ითვლებოდა. შემდეგ, სტატისტიკური ცნობები მოიყვანა, რომელ ქვეყანაში რამდენი მომხმარებელი საზოგადოება იყო, სულ მთელ ევროპაში მომხმარ. საზ. 7 მილიონზე მეტი წევრი ჰყავს, ქონება კი 2 მილიარდს უდრისო. მიზანი მომხმარებელ საზოგადოებისა, ლექტორის აზრით, არის წევრებს საღი და ახალი ცხოვრებისთვის საჭირო ნივთები და სურსათი მიაწოდოს. წარმატებისთვის კი საზოგადოებამ აუცილებელ პირობად უნდა დასახოს, რომ ვაჭრობა ნაღდზე სწარმოებდეს და სხვა. ლექცია 40 წუთს გაგრძელდა.

შემდეგ მოხდა კრება მომხ. საზოგ. „მომავლის“ წევრებისა. გვეგონა სიმპატიური მიზანი საზოგადოებისა მრავალთ მიიზიდავდა, მაგრამ ეს მოსაზრება არ გამართლდა. კრებამ თავმჯდომარედ ნიკო ელიავა აირჩია, მდივნად ხარტიშვილი. უწინარეს ყოვლისა ლაპარაკი ჩამოვარდა წესდების გადაკითხვის თაობაზე, რაც კენჭის ყრით კრებამ უმრავლესობით უარ-ჰყო. შემდეგ, წესდების ზოგიერთ მუხლების შესახებ დაიწყო კამათი. მეტადრე ერთმა მუხლმა გამოიწვია ხანგრძლივი კამათი წესდებაში: რკინის გზის მოსამსახურეთა, საპოსტო მოხელეთა და სახელმწიფო ბანკის მსახურთა შესახებ შენიშვნამ; ზოგმა ეს შენიშვნა ისე გაიგო, რომ ჩამოთვლილ დაწესებულებების მოსამსახურეთ არ შეეძლოთ წევრად ჩაწერა, მაგრამ ბ-ნმა გელეიშვილმა განუმარტა კრებას, რომ ეს შენიშვნა ბუნდოვანია, მაგრამ არსებითად არავის წევრობის უფლებას არართმევს, იგივე განმარტა თავმჯდომარემაც. ზოგმა ორატორმა დაუყოვნებლივ სცნო საჭიროდ წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა. ხრამელაშვილის, გელეიშვილის, კანდელაკის განმარტებით შეცვლის შესახებ კრებაზე ლაპარაკი უნიადაგოა, ვინაიდან შეცვლას დიდი პროცედურა მოჰყვება. ბოლოს შეცვლაზე ლაპარაკი მოსპეს. ლაპარაკი საწევრო ფულის შესახებ ჩამოვარდა; ზოგიერთის აზრით, სამი მანათი ერთდროულად უნდა იქმნეს შეტანილი, ზოგმა კი ნაწილ-ნაწილ შეტანას დაუჭირა მხარი. კრებამ უკანასკნელთა შეხედულება მიიღო. შემდეგ მოხდა გამგეობის 15 წევრის და სარევიზიო გამგეობის 5 წევრის არჩევა.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ე. ხრამელაშვილი, ი. რამიშვილი, დ. ხარტიშვილი, ი. გოგელია და ს. ჰელიძე.

## არჩევნები ბაქოში

**31 მარტი.**

დღეს ქალაქის ხმოსანთა არჩევნებია. დილის თერთმეტ საათზედვე დიდი მოძრაობა იწყება ქუჩაზე, ქალაქის გამგეობის წინ. ეტლი ეტლს მოსდევს: ამომრჩეველნი მოდიან, რომელთაც გამგეობის შენობაში ბილეთებით უშვებენ. პოლიცია მზად არის.

გამგეობის დიდი დარბაზი ჩქარა ხალხით ივსება. ყველა ჩუმად არის: უჭირავთ სიები და თავიანთ კანდიდატების გვარებს სწავლობენ.

საარჩევნო ყუთებთან პოლიციელნი დგანან. ხალხი უიარაღოა.

დილის $11^1/_2$ საათზე დარბაზში გრადონაჩალნიკი მარტინოვი შემოდის, რომელიც ამომრჩევლებს ურჩევს, ყოველგვარ პარტიობას თავი დაანებონ და სინდისიერი და ქალაქისთვის სასარგებლო პირები აირჩიონ ხმოსნებად.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავი ნ. ვ. რაევსკი ჯაჭვს იკიდებს და კრებას ჰხსნის. იგი კითხულობს საქალაქო დებულების შესაფერ მუხლებს.

ამის შემდეგ კითხულობს კანდიდატების სიას, საიდანაც სჩანს, რომ ყველაზე მეტი ხმა გ. ზ. ა. ტაგიევს აქვს.

ირკვევა, რომ ტაგიევი უარს ამბობს ყუთის დადგმაზე. ამიტომ მას სახლიდან ტელეფონით იბარებენ და დიდის თხოვნის შემდეგ თანხმობას აცხადებინებენ ყუთის დადგმაზე.

ნაშუადღევის 1 საათზე კრება სწყდება ყუთების დასამზადებლად. ამ დროს დარბაზში, 1,280 ამომრჩეველია..

კრება ახლდება $1^1/_2$ საათზე. არჩევნები შუაღამემდე გრძელდება.

172 კაცისაგან, რომელთაც ყუთები დაიდგეს, არჩეულ იქმნენ 23: მაჰმადიანი—13, რუსი—8 და სომეხი—2. არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ: მაჰმადიანი—777, სომეხი—374 და რუსი—171.

ხმოსნებად არჩეულ იქმნენ; ჰაჯი ზეინალ აბდილ ტაგიევი, მირზა ასადულაევი, ისა ბეგ ჰაჯინსკი, აჯარ ბეგ აშურბეგოვი, კ. ა. ირეცკოი, ე. ს. სკობელევი, არშაკ ოსეფას ძე გუკასოვი, აგა იუსუფ დადაშევი, თ. თ. სკრეპინსკი, გ. ო. ვორობიევი, მელიქ ბეგ სულთანოვი, ა. მ. ბენკენდორფი, აგა აშუროვი, ა. აივაზოვი, მეშადი ბეგ ალიზეკოვი, მამედ რზა ბეგ ვექილოვი, აგა შალბ გულიევი, პ. ა. კნიაზევი, ა. ი. მანჩო, ჰაჯი მუსტაფა რასულოვი, აბდულ ხალის ხუნდოვი და ა. კ. ლეონტოვიჩი.

## მოწერილი ამბები

**სოფ. წესი (რაჭა)** როგორც გხედავთ დღეს კაცობა განვითარების გზას დაადგა. უწინ თუ ერთი მანეთის გადახდა ეზარებოდა მასწავლებლის შესანახად, დღეს წლიურად ათი მანეთიც რომ გადიხადოს, აღარაფრად აგდებს. ეს ჩემი სიტყვები შემიძლია დავამტკიცო შემდეგის მაგალითით. წესის საზოგადოებას შეადგენს გლეხი და აზნაური სულ 400 კომლი. აი ამ პატარა საზოგადოებამ იკისრა ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება. კანაჩენზე აზნაურებსაც უნდოდათ მოეწერათ ხელი, მაგრამ ეს ვერ მოახერხდა, რადგანაც მთავრობა არ აძლევს ნებას გლეხებს და აზნაურებს ერთად განაჩენის დადგენისას. წარსულ წელს აქ იყო კავკასიის სკოლების მზრუნველი რუდოლფი. მან სასკოლო ადგილი ინახულა და სთქვა, ვინაიდან თავად-აზნაურთ სურთ სკოლის აშენებაში და შენახვაში მონაწილეობა მიიღონ, დასწეროს ხელ-წერილი და თავიანთი მხრით ამოირჩიონ ერთი კაცი, როგორც კომიტეტის. თავად-აზნაურობა მზრუნველის რჩევისამებრ მოიქცა, აირჩეს ერთი კაციც და მისცეს ხელ-წერილი, სკოლისათვის უთუოდ საჭირო ხარჯებს ისე გადვიხდით, როგორც გლეხითა. მცირედი ნაწილი აზნაურებისა გაჯიქდა, პირობაზე ხელი არ მოაწერა. სადაც უნდა აშენდეს სკოლა, ის ადგილია წესის საზოგადოებაში. სკოლის გაკეთება კაიცა წარსულ წელს საჯარო ვაჭრობით: აიღო გლ. სტ. ბიჭაშვილმა 4200 მ. ბიჭაშ—მა უნდა ააშენოს სკოლა ქვითკირისა, ერთ სართულიანი. სკოლაში იქნება თორმეტი ოთახი. ნავარაუდევი ფულების გადახდა გაინაწილეს ამ ნაირად: თვით წესმა უნდა გადაიხადოს 1903 მან. 44 კაპ. ს. კვატხუთმა 1649 მან. 85 კ. და ხიმშმა კი 313 მ. 79 კაპ. აზნაურებმა, სულ პირობაში ხელი უწერიათ 28 კომლს, უნდა გადიხადონ ოცდა თორმეტ თუმნამდე. 600 მანეთს ეწევა წესის სკოლას ქუთაისის დირექცია. გავრცელდა ხმა, ვითომც ჭიათურამ შესწირა წესის სკოლას 400 მანეთიო, როგორც ნამდვილ წყაროდან ვიცით, ჭიათურიდან ჯერ-ჯერობით არავითარი შემოწირულობა არ არის სკოლისთვის. საჭიროა მიწაში მისცეს 750 მანეთი. სოფელს იმედი ჰქონდა, ასესხებდნენ ამ საქმისათვის „მადაზიის ფულს“, რომელსაც უოველ წელს ახდევინებენ გლეხებს, კომლზე 40 კაპ. ამ ფულებიდან დღეს დიდი თანხა ინახება სახელმწიფო სალაროში. სოფელმა თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს, რათა ეს ფულები მისცემოდა სესხად; რამდენისამე ხანს შემდეგ მოვიდა ცნობა: მადაზიის ფულებს ვერ გასესხებთ, რადგან ამ ფულებს სხვა დანიშნულება აქვსო.

**ვანო ჭიჭინაძე.**

## უცხოეთი

**სპარსეთი.**

სპარსეთში ახალი კაბინეტი შესდგა. მეთაურად ცნობილი საფეხდარია. საფეხდარი ჯერ რეშტის გუბერნატორად იყო, მერე შაჰის ჯარებს მეთაურობდა და თავრიზელ რევოლიუციონერებს ებრძოდა, შემდეგ კი რევოლუციონერების მოკავშირედ იქცა. წოდებით კი საფეხდარი სპარსეთის ერთი უდიდესი ფეოდალთაგანია.

საინტერესოა, თუ როგორ იქმნა არჩეული საფეხდარი სპარსეთის ახალ სამინისტროს პრემიერად. ამის მიზეზი ახალი რეგენტი ნასრ-ულ-მულკაა. დაბრუნდა თუ არა რეგენტი ევროპიდან,

---

რვაოდე პაის პატრონი გლეხიც ერია, და რომ სრულად გლეხებში ნდობა არ დაეკარგა ამხანაგობას, გლეხებისთვის მაინც არ უნდა შეემცირებინათ პაის ფული.

7.

„სამეურნეო ამხანაგობას“ შერჩა მხოლოდ 15 წევრი პაის პატრონები, თითქმის იგივე ბატონ-პატრონები და მთელი საქმის მომქმედნი სამეურნეო ამხანაგობისა.

დამნაშავე იყო ამხანაგობის დაღუპვისა თ—დ. გ. ვ. მაჩაბელი? არა, მარტო ეს არ იყო, ზედამხედავი კომიტეტი, გამგეობა და ის ჯგუფი, რომელმაც თ—დ. გ. ვ. მაჩაბლის კანდიდატობა წამოაყენა, ამათაც წილი უდევთ.

ზედამხედავი კომიტეტი და გამგეობა სტყუიან ამხანაგობის წინაშე, რომ ყოველ წარდგენილ თ—დ. გ. ვ. მაჩაბლისაგან წინადადებას შეუმოწმებლივ ადასტურებდნენ; აგრეთვე ის წევრნი ამხანაგობისა, რომელნიც გომის საწყობის გარეშე თავიანთ ნაწარმოებს ჰყიდდნენ და ვაჭრობდნენ; ისინი ამითი ხელის არ უწყობდნენ ამხანაგობის განვითარებას და მით წარმოებას და ამხანაგობას ჰღალატობდნენ. თავიანთის მცონარეობით და ფუქსავატის საქმიანობით ახლად აღორძინებული სამეურნეო ამხანაგობა ძირს დასცეს.

8.

თ-დ გიორგი ვახტანგის ძე მაჩაბლის გადაყენების, შემდეგ დროებით დირექტორად დაინიშნა თ-დი კ. მ. ამირეჯიბი; რადგან სამეურნეო ამხანაგობა გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდიდა, იგი თავის გასამრჯელოს არას იღებდა; წინამოადგილეებს კი წლიურად ჯამაგირი ეძლეოდა ამხანაგობისაგან — 2000 მან.

შემდეგ თ-დ. კ. მ. ამირეჯიბს, რადგანაც იმდენი დრო არა ჰქონდა, მუდამ სამეურნეო ამხანაგობის საქმეები ეწარმოებინა, გამგეობის თანახმად, თავისი თანამდებობა გადასცა თ—დ. იოსებ რევაზის ძე თარხნიშვილს.

ამაზე თითქოს ამხანაგობის დაღუპვამ არავითარი გავლენა იქონია; იგი ისევ ძველებურად უცქეროდა ამხანაგობას, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყო და ესეც საამხანაგო საქმეებს ხელ-გაშლით აწარმოებდა.

როგორც 1901 წ. ანგარიშიდანა სჩანს, ამხანაგობამ იზარალა—15,886 მ. 70 კ.! და ამის შემდეგ თ-დ. იოსებ რევაზის ძე თარხნიშვილმა, რომელსაც შეძლებით არა უჭირდა-რა, თავის გასამრჯელოდ, როგორც გამკე დირექტორმა, აიღო რამდენიმე თვისა ამხანაგობისაგან—600 მან.

9.

ამოდენა ზარალის დაფარვას ამხანაგობას ფული ესაჭიროებოდა, ან უნდა ეს ზარალი დაეფარა, ან ამხანაგობის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა; ისევ პირველი ამჯობინეს და სკოლის კომიტეტისაგან ისესხეს 12,000 მ.

როგორ მოხდა, რომ სკოლის კომიტეტმა ფული, რომელიც მას უფრო ესაჭიროება, ამხანაგობას ასესხა? მინ რომ ბავშვი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, და გაკოტრებულ ამხანაგობას 12,000 მანეთი როგორ მისცეს, სწორედ გასაოცარია!

სკოლის ფული დახლში უნდა ტრიალებდეს და სკოლა კი გაჭირვებას განიცდიდეს? მხოლოდ ჩვენში უნდა მოხდეს ხოლმე ამისთანა უცნაურობა.

10.

1902 წ. 17 აპრილს აირჩიეს სამეურნეო ამხანაგობის დირექტორად თ-დ. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჯავახიშვილი. ამანაც ბევრი არ დახანა ამხანაგობაში და ორის წლის შემდეგ გადააყენეს. მის მაგერ დანიშნეს თ დ. ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონი. ეს უარობდა, რადგან თავის ტყიდან შეშის ალებმიცემობა ჰქონდა და თავს ვერ ანებებდა; მაინც ამხანაგობამ ჩააყენა იმ პირობით, რომ თავის ტყიდან კერძოდ მას ჰქონოდა ალებმიცემობა შეშისა.

პირველად რომ ეს ამხანაგობა დაარსდა, მაშინ თ-დ. ვ. ე. ბაგრატიონი ორ წელიწადს გომის საწყობში მწარმოებლის თანამდებობას ასრულებდა.

იგი უკვე კარგად გამოცდილი იყო ვაჭრობაში, როდესაც 1901 წ. 25 აპრილს აირჩიეს დირექტორად.

ამხანაგობას უკვე კრიზისი ჰქონდა გავლილი, მხოლოდ ეჭირვებოდა მცოდნე კომერსანტი, რომ თავის ღონეზე დაეყენებინა. და ამხანაგობამაც მას მიანდო მართვა-გამგეობა. ამხანაგობას ამ წელს თ-დ ვ ე. ბაგრატიონმა წმინდა მოგება აჩვენა—528 მ. 23 კ. თუმცა 1905 და 1906 წ.წ. საზოგადოდ ყველასათვის მძიმე წლეები იყო, მაინც ამხანაგობას აჩვენა თ-დ. ვ. ე. ბაგრატიონმა ორი წლისა—986 მ. 24 კ.

მოგება 1904 წლიდან 1910 წლამდის არის ცვალებადი, სისტემატიური ზრდა მოგებისა ანგარიშიდან არა სჩანს. 1907 წ. მოგება არის —3079 მ. 77 კ. 1910 წელს კი მოგება დავიდა—177 მ. 45 კ.

მოგებას ამხანაგობის წევრნი ალარ იყოფენ მას შემდეგ, რაც ზარალი ნახეს. სათადარიგო თანხა იყო 1904 წელს—1142 მ. 72 კ. 1910 წ. ავიდა—3249 მ. 43 კ-მდე.

11.

თუმცა 1907 წ. ამხანაგობამ მოგება ნახა, ესე იგი, 3079 მ. 77 კ. დარჩა, სამაგიეროდ კი 1908 წ. 10443 მ. 60 კ. შავ-ქვაში ზარალსა ჰხედავს. რადგანაც ჯერ ისევ გაუყიდავია, და აგრეთვე ყოველ წლივ ხარჯი აქვს. 1908 წელს შავ-ქვაში მიცემული იყო 10443 მ. 60 კ., 1909 წ. კი შავი-ქვის შენახვაზე დაიხარჯა—725 მ. 37 კ.; მხოლოდ 318 მ. 83 კ. გაიყიდა.

ანგარიშიდან არა სჩანს, შავი-ქვა რამდენი ფუთია. ამხანაგობისათვის ემჯობინება, რაც ადრე მოიშორებს; ზარალს უფრო ცოტას ნახავს.

რაც შეეხება იმას, რომ შავქვაზე მითქმა-მოთქმა იყო, სულ ტყუილი გამოდგა. ამხანაგობა ჭიათურის შავი-ქვას ყიდულობდა და რკინის გზის ლიანდაგთან აწყობდა, ამავე დროს რამდენიმე პირი, ამაში მონაწილეობას ღებდა თავ. ვ. ე. ბაგრატიონიც, გარეშე ამხანაგობისა ამირეჯიბიც შავ-ქვას ყიდულობდა და ამხანაგობის ეზოში აწყობდა; ეს შავი-ქვაც ისევ გაუყიდავია.

12.

მართალია გამგეობამ ნება დართო ეხლანდელ დირექტორს თავ. ვ. ე. ბაგრატიონს, რომ კერძოდ მას ჰქონოდეს ალებ-მიცემობა შეშისა თავის ტყიდან, და ამავე დროს ამხანაგობასაც შეშის ალებ-მიცემობა ჰქონდეს. მართალია, თავ. ვ. ე. ბაგრატიონს გომის საწყობ ეზოში შეშის საწყობი აქვს და თითო კუბიკურ საჟენ შეშაზე ამხანაგობის სასარგებლოდ იხდის 20 კ. და აგრეთვე დარაჯის ჯამაგირშიაც უდგება ამხანაგობას, მაგრამ ეს მაინც ცოტა როგორღაც არ ეთანხმება ალებ-მიცემობის წესს.

მე მგონი ამას უნდა გამოეწვიოს, რომ ამხანაგობის ერთმა თანამდებობის პირმაც კერძოდ ხე-ტყის ალებ-მიცემობა დაიწყო. ამხანაგობის კასიდან სრული უფლება ჰქონდა ეხარჯა თავის კერძო ალებ-მიცემობაზე და ბოლოს ანგარიშის დროს აღმოჩნდა, რომ მას შემოხარჯოდა 300 მანეთზე მეტი.

დირექტორმა, რასაკვირველია, თავის დროზე გამგეობას აცნობა. გამგეობამაც მიაფუჩეჩა ეს საქმე.

13.

რაც შეეხება იმას, რომ სამეურნეო ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო შეძლებისა და გვარად კარგ პირობებში და შემდეგ ვერ გაამართლა თავის დანიშნულება, ეს ამტკიცებს ჩვენს მოუმზადებლობას ეკონომიურ ცხოვრებისათვის.

და ამის შემდგომ მხედველობაში უნდა გვქონდეს უცხოეთის კოოპერაციების სასწაულ-მოქმედება; საკმარისია ორიოდე მაგალითი მოვიყვანო:

„ინგლისში 20-მა ღარიბმა ქარგალმა დაარსა „როჩდელის“ კოოპერაცია. თითოს კვირაში შეჰქონდა საწევრო ფული თითო შაური, ეხლა კი „როჩდელის“ კოოპერაციას წლიური წმინდა მოგება რჩება ერთი მილიონი მანეთი“.

„ქალაქ ლიდსში (ინგლისი) 28 წელიწადია, რაც არსებობს მომხმარებელი საზოგადოება და ამ ხნის განმავლობაში ისე გააფართოვა თავისი მრავალ-გვარი წარმოება, რომ მისი ბადალი არ მოიძებნება. ამ საზოგადოებას წვრილმან საქონლისა და საჭმლის დუქანი აქვს—95, ხორცისა—79, მაუდისა და ხელ-საქმის 24, ფეხსაცმლისა—18, შეკერილ ტანისამოსისა—8, თევზისა და მწვანილისა—5, ნახშირის საწყობისა—16; სულ 245 განყოფილებაა, რომელიც აკმაყოფილებს ყოველგვარ საჭიროებას 50,000 წევრისას, რაც უდრის 200,000 სულსა, მთელს ლიდსის მცხოვრებთა ნახევარს (ამ ქალაქში 478,000 სული მცხოვრებია).

სამეურნეო ამხანაგობას, ცოტათი მაინც რომ მაგალითი აიღოს, ესაჭიროება განახლება, პაიების ფასის შემცირება, მცოდნე წინ-დახედული პირების ჩაყენება წარმოებაში და მომჭირნეობა.

14.

დასასრულ, აღსანიშნავია ის, რომ უკანასკნელ ოქმებიდან სჩანს, მოგებიდან საქველ-მოქმედო საქმეებზე გადიუდევიათ დირექტორის მოხებით—110 მან.

ამასთანავე თითქმის მთელი ალებმიცემობა ტრიალებს თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის ფულითა, რომელიც ამხანაგობას უსარგებლოდ აძლევს და აგრეთვე ყოველ გაჭირვებულ საქმეში დახმარებას უწევს და თუ არ ეს—აქამდის ამხანაგობა მოისპობოდა.

მართალია ამხანაგობას ჯერ ისეთი აღსანიშნავი არა გაუკეთებია-რა, მაგრამ ზემო ქართლის სოფლის ნაწარმოების ფასების ამწევ-დამწევი ეს სამეურნეო ამხანაგობაა და რომ ეს არა, მთელი სოფლის ჭირნახულს მოვახშე ჩარჩები დაეპატრონებოდნენ.

თა-დ. ვ. ე. ბაგრატიონი კომერსანტია, აქვს ნიჭი ვაჭრობისა, მარტო ეს არა კმარა, პატარა უნარი უნდა ეტყობოდეს და ენერგიულად მოეპყროს ამხანაგობის ალებ-მიცემობას და მისი სამეურნეო პროგრამა გააფართოვოს, მარტო დახლზე ვაჭრობა არა კმარა.

ვაბოლოვებ იმით, რომ სამეურნეო ამხანაგობა საზოგადო დაწესებულებაა *) და მისი მიზანია გაავრცელოს მემამულეთა შორის ცოდნაც რასაკვირველია. ამის ნიშნებს ვერა ვხედავთ, არა აქვს ლიტერატურა, არა აქვს გამოწერილი სამეურნეო ჟურნალები, წიგნები, გაზეთები. ამხანაგობისათვის ეს არას შეადგენს, სარგებლობით კი ბევრი ისარგებლეს.

**Legatus.**

*) მართალია ეს ამხანაგობა 15 წევრს ეკუთვნის და ზოგიერთნი ხთვლიან მას კერძო დაწესებულებად, მაგრამ მაინც მას აქვს საზოგადო მნიშვნელობა.

მაშინვე განუცხადა მეჯლისს, რომ კონსტიტუციის მიხედვით მე უპასუხისმგებელი და უშიშრო უნდა ვიყოთ და მეჯლისს უბრძანა: შეადგინეთ პარლამენტარული უმრავლესობა და პრემიერი დანიშნეთო. მთელი თვე დასჭირდა მეჯლისს, ვიდრე მისი წევრები ერთმანეთში მორიგდებოდნენ და სასურველ უმრავლესობას შეადგენას მოახერხებდნენ. რეგენტს კარგად ესმოდა მეჯლისის პარტიათა არევ-დარევა, გამოურკვევლობა და პრემიერის დანიშვნა ითონ ვერ გაბედა. საპარლამენტო უმრავლესობამ პრემიერად საპეხდარი დანიშნა. მაგრამ აქ ერთი რამეა სათქმელი: რეგენტის უპარტიობა ყველას როდი სწამს. ბევრი იმ აზრისაა, რომ რეგენტმა საიდუმლო ძალები აამუშავა იმისთვის, რომ მეჯლისს პრემიერად საპეხდარი დაენიშნა. „ტაიმსი“ ურწმუნებს რეგენტს, რომ მიუხედავად მისი „მეგობის და არა მართვის“ სურვილისა, მან ისე მოახერხა, რომ პრემიერის პორთფელი რუსეთის მეგობარ საპეხდარს ხვდა. რეგენტის „უპარტიობაზე“ ასეთივე აზრისანი არიან სპარსეთის დემოკრატები. ესენი ამბობენ, რომ კონსტიტუციის დროს საპეხდარმა რეგენტად ყოფნა—ცხვრის ტყავში მგლის ყოფნასა ჰგავსო, თუმცა-და რეგენტის კონსტიტუციონალისტობაში არავინა ეჭვობს. განა მან არ დაჰკარგა პრემიერის პორთფელი მაშინ, როცა ყოფილმა შახმა მაჰმედ-ალიმ კონსტიტუციის დამარცხება მოინდომა?

საპეხდარმა მოქმედობა დაიწყო. პირველ ყოვლისა პოლიციის უმფროსად მან ისევ ძველი ეფრემი დააყენა. საპეხდარის აზრით სხვა ვერავინ გაუძღვება სპარსეთს ისე, როგორ, ეფრემი. სპარსეთ ჯერ არ შესწევდა პარტიულ საკითხების პარლამენტის ტრიბუნიდან გადაწყვეტას. სპარსეთი აქ ჯერ ისევ ფუმბარასა და რევოლვერს ხმარობს. რაკი საპეხდარმა თავი ასე გაიმაგრა; დანარჩენ საქმეებს შეუდგა. მეჯლისს განუცხადა: კანონები არ ვიცი და ჩემი ამხანაგების (მთელი კაბინეთის) იმედი მაქვსო. მის პროგრამაში, რასაკვირველია უველაზე წინ ჯარის, ფულის და განათლების მოწესრიგებაა წამოყენებული. მაგრამ ერთი რამაა საინტერესო: საპეხდარმა განაცხადა, რომ ტერორსა და მის ხელ-მძღვანელ პრესას უნდა ვებრძოლოთო. სადა ნახა საპეხდარმა ეს ტერორი? ან რომელმა პრესამ გაუწია ხელ-მძღვანელობა მას? წარსულ წელს თეირანში სულ ორი მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს ფინანსთა მინისტრი სანიედ-დოვლე და ახალ-გაზრდა დემოკრატი თემურ-ბეგი. ამასაც, ვინ იცის, შეიძლება თუ არა, რომ პოლიტიკური ხასიათი მიეცეს. მემარცხენე პრესამ კი ამ ამბებზე თავისი უკმაყოფილება მკაფიოდ გამოსთქვა. ეჭვს გარეშეა, რომ საპეხდარს ტერორთან კი არა მემარცხენე პრესასთანა ჰსურს ბრძოლა, თუმცა ამ პრესას არც ძალიან მკვახე კილო აქვს. მიუხედავად ამისა, საპეხდარმა რამდენიმე გამოცემა უკვე დახურა. მერე ისიც სულ უბრალო გულუბრყვილო კარიკატურების გულისთვის. რეაქციონურ კაბინეთის მოქმედება სხვაშიაც გამოჩნდა. დაითხოვეს ერთი „ლიბერალი-მოხელე“. უეჭველია საპეხდარი ამ გზას დაადგებოდა, მაგრამ შეხვრდა, ალბად იმ მოსაზრებით, რომ საჭირო არ არის იმ პარტიის გაბრაზება, რომელმაც „მორჩილ უმცირესობის“ როლი იკისრა. რაში გამოიხატება რეაქციონურ კაბინეთის დადებითი მუშაობა, ამისი ჯერ არაფერი ვიცით.

მეჯლისი ჯერ წვრილ-კანონ პროექტების განხილვაშია გართული. სპარსეთში ეხლა ყველას აინტერესებს ფინანსიური საკითხი; ჰსურთ, რომ ინგლისის ბანკსა პირობით შეეკრან და სპარსეთის რამდენიმე გადის საშუალებით, იმ გადებისა, რომელსაც ჯერ კონსოლიდაცია არა ჰქონიათ, რამდენიმე მილიონი მანეთი აიღონ; აქედან რამდენიმე ათასი მანათი უკვე დახარჯული აქვთ. წინა კაბინეთს უნდოდა მთელი ეს ფული ჯარზე დაეხარჯათ, მაგრამ სასტიკი კონტროლი გაეწია. ცნობით, ახალი კაბინეთი გაიზიარებს ამ აზრს თუ არა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აპრილი.

## საზღვარ-გარეთ.

**მუკდენი.** ჩინელ-იაპონელ პოლიციელთა შეტაკება დიპლომატიურ კონფლიქტად იქცა. ჩინელ მმართველთა ცდამ, რომ უთანხმოება ადგილზე ჩაექროთ, უნაყოფოდ ჩაიარა. იაპონელმა კონსულმა ჩინელებთან მოლაპარაკებას თავი დაანება და საქმე თავის მთავრობას გადასცა.

**ტოკიო.** კიოტოს მახლობლად რკინის გზის ლიანდაგზე დინამიტი აფეთქდა. მატარებელი გადაბრუნდა. მემანქანე, მისი თანაშემწე და ერთი მგზავრი დაიჭრა.

**ბერლინი.** ხმა დავარდა, ვითომც ვილჰელმ იმპერატორის მოკვლა უნდოდათო. ვოლფის სააგენტო ამ ხმას უარსა ჰყოფს.

**მადრიდი.** რაკი პორტუგალიას ეშინიან, მთავრობამ ზოგიერთ პორტუგალელ მონარქისტებს წინადადება მისცა საზღვრებს მოშორდითო. პორტუგალიურმა მთავრობამ ლისაბონში ისპანელთა რევოლუციონერების კლუბი დაჰკეტა.

**პარიზი.** პრეზიდენტი, დელკასისა, მაპისა და შომეს თანხლებით ტულონში მოვიდა. მინისტრისა და პროკურორის მოლაპარების შემდეგ დაატუსაღეს ვექილი ვალანსი, რომელიც საორდენო ქაღალდებს ჰყიდდა. ვალანსმა დაასახელა ის პირი, ვისაც მისთვის ეს ქაღალდები უძღევია.

**ლისაბონი.** ბრაგაში 5 უნტერ-აფიცერი დაატუსალეს; ესენი რესპუბლიკის საწინაამდეგო შეთქმულებას აპირებდნენ. პროცესის დროს კათოლიკებსა და ანტი-კლერიკალებს შეტაკება მოუხდათ. ხატები ქვებით ჩალეწეს. იუსტიციის მინისტრმა პროცესიები აეკრძალა.

**ატბასარი.** მდ. ატბასარი ადიდდა. ქალაქის წყლის პირის ნაწილი მთლად წყალმა დაჰფარა. მრავალი შენობა დაიქცა. ზარალი დიდია. წყნლი მატულობს. მდ. იშიმას ადიდებისაც ეშინიანთ.

**სოფია.** მანილოვმა სთქვა, თანამდებობას თავი იმიტომ დავანებე, რომ პირადად მიმტრესო. ამიტომ საჭირო იყო მეფისათვის შეძლება მიმეცა, რომ მთავრობის სათავეში უფრო ღირსეული კაცი ჩაეყენებინაო.

**პეკინი.** ფინანსთა მინისტრმა და ამერიკის, გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის ბანკირთა წარმომადგენლებმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ამ შეთანხმების ძალით ჩინეთმა 50 მილიონი დოლარი უნდა ისესხოს 95 კურსით. სესხი ფულის სისტემისა და მანჯურიის წარმოების მოსაწესრიგებლად უნდათ.

**ბარ-სიურ-ობი.** დემონსტრატორებმა წითელი ბაირაღი აფრიალეს, პრეფექტურისაკენ გაემართნენ და ჯარს ქვები დაუშინეს. ერთი კომისარი და რამდენიმე აფიცერი დაჭრილია.

**რეიმსი.** მეღვინეებმა უწესოება ხელ-ახლად მოახდინეს. ტრეპაილში კომისიონერს ფანჯრები ჩაულეწეს, სარდაფები აიკლეს და 1500 ბოთლი დაამტვრიეს. ვერზენში ბრბომ მეოტმანლონის ფირმის ზვრები, სივრცით 20 ჰექტარი, აიკლეს. მრავალგან ხალხი დაატუსაღეს.

**ეპერნე.** საღამოთი ტრეპაილში მეღვინეებმა ბარიკადები ააშენეს. რამდენიმე მეღვინის სახლი აიკლეს. ბარიკადები ჯარმა დაანგრია. აჯანყებულებმა ჯარს ბოთლების ნატეხები დაუშინა. აფიცერმა ჯარს იარაღის ხმარება უბრძანა. შუა-ღამისას მშვიდობიანობა დამყარდა.

## რუსეთი

**ბელოსტოკი.** ნოვიკის ქარხანას ცეცხლი ხელ-ახლად გაუჩნდა. ოთხსართულიანი შენობა ყველა მანქანებით დაიწვა. დაიწვა აგრეთვე მაუდის საქსოვი განყოფილება და შლიაპების საწყობი. ზარალი დიდია.

**პეტერბურგი.** სენატმა დაადგინა, იურიევის პროფესორი პასეკი სასამართლოს გადაეცეს. აბრალებენ, რომ რექტორად ყოფნის დროს, მან თავის უფლებებსაც გადააჭარბა და არც საჭიროებისამებრ იმოქმედაო.

გზათა მინისტრი უარ ჰყოფს იმ ცნობას, ვითომც სენატორ ნეიდგარდის განკარგულებით სამინისტროში ჩხრეკა ყოფილიყოს.

სავაჭრო მინისტრი კავკასიის მინერალურ წყალთა დასათვალიერებლად გაემგზავრა.

მინისტრთა საბჭომ საკანონმდებლო დაწესებულებაში წარსადგენად შემდეგი კანონ-პროექტები მოიწონა: 1) გადაიდოს 14 მილიონი ადესაში პურის ნავთსადგურის დასაარსებლად. 2) ლიკვიდაცია სახელმწიფო და სავაჭრო ყოფილ ბანკებში შეტანილ ფულებისა, ლიკვიდაცია შემნახველო ხაზინისა და პრიკაზებისა; 3) საბაჟოებში უქმე დღეებში მუშაობის დაწესება და სხვ.

**საზონოვკა.** სემირჩენის ოლქში, ღამე ნიადაგი ოთხჯერ შეირყა. უკანასკნელი რყევა 8 საათსა და 32 წ. მოხდა. რყევა ძლიერდება და ხშირდება.

## ფ რ ა ნ ა.

**რეიმსი.** ავიატორი დელანჟი მონოპლანით გაფრინდა, მაგრამ ასი მეტრის სიმაღლიდან აპარატიანად ჩამოვარდა და დაშავდა. დაშავებული აქვს თავი, მკერდი და ფეხები.

**დრეზდენი.** ჰაერში მფრენავ საქსონიის საზოგადოებამ ჰაეროსტატების გაჯიბრება გამართა. ჰაეროსტატი ნორდგაუზენი ადრე აფრინდა. ფაბრიკანტი კორნი კალათაზე გადმოეკიდა. პილოტმა თოკს დასწია. ჰაეროსტატი გასქდა და გაზის ქარხნის კედელს დაეჯახა. კრონმა ფეხი მოიტეხა. ბურთიდან გამოსული გაზი, ბუხრიდან ამოსულ ნაპერწკალმა ააფეთქა. კალათა ქარხნის სახურავზე დაეცა და სახურავი ჩაანგრია. ოთხი კაცი დაიჭრა.

# განცხადებანი

**პრემია**

ამ გაზეთის ჯველა მკითხველს უფასოდ ვუგზავნით 25 მეტად საინტერესო ნივთს, ჩვენ მხოლოდ გასაგზავნ და გასაზვევის ფასად 90 კ. ვიღებთ. დღესვე გამოგვიგზავნეთ ღია წერილით თქვენის სწორე ადრესით. ადრესი: Лодзь 172 почт. ящикъ 367. Метцль. 20982

(5—1168—5)

**ქ. თელავში**

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის**

**წიგნი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—27)

მუხრანის ქუჩა

# სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაპაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილთხანაძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით, დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—56)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგტიხიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი**: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევეხკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინ.-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა

**კონსულტატიურად**

რჩევა 50 კაპ. დარიგებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიან.

(წ.—1168—9)

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—81)

# კავკასიური ბუნებრივი კონიაკი „არარატი“

◀ ღირსებით კონკურენციის გარეშეა ▶

იყიდება საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

დასაკვეთად პირდაპირ ერევანში მიჰმართეთ პატრონს

# ს. პ. ედიგაროვს,

ან ტფილისში ბ. მელიარსკის.

(10—1207—3)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო ლოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივილეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

# დაეჩქარეთ დღესასწაულებისათვის საალდგომოდ შეიძინოთ გრამოფონები და ფირფიტები

საქციონერო საზოგადოება

# გრამოფონი

გოლოვინის პროსპ. № 9.

ყოვლად სრული სამუსიკო საკრავია, თუ ზედა აქვს მსოფლიოდ ცნობილი

საქარხნო მარკა მწერავი ანგელოსი

TRADE MARK GRAMMOPHON

# მღერის ლაპარაკობს იცინის

ამხიარულებს, ართობს და მუსიკის სიყვარულს აღვიძებს.

მიღებულია დიდ-ძალი აპარატები, უკანასკნელ გაუმჯობესებულ კონსტრუქციისა, და ფირფიტები მთელს დედა-მიწის ზურგზე ყველა ენაზე ნამღერისა.

კატალოგები უფასოდ მოითხოვეთ.

(5—1206—3)

# თესლეულობა

**თ. კიზმარიშვილი და ამხ.** ქუთაისში

იყიდება: იონჯისა, სამყურისა, კინდრისა, **დაფნის თესლისა** გირვანქა 60 კ., ეკლის ხისა, ბზოლის და ყოვლგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობანი. ნერგები: ნამყენი ხეხილებისა, ეკლის ხის, **დაფნისა** და ბაღის სხვა და სხვა ვარდისა. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. (30—1104 17)